AS-Accountant 7

სისტემის აღწერა

Apricot Software

AS-Accountant 7 სპეციალურად შექმნილია ბუღალტერიის ავტომატიზაციისთვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.
ჩვენ ზედმიწევნით გვაქვს შერჩეული სისტემის ფუნქციურობა, ინსტრუმენტები, რომლებიც შეიცავს სამუშაოს გამარტივების საშუალებას და მხარდჭერის სისტემა განვითარებულია მრავალი დაკვირვების შედეგად. ამის შედეგი არის ის რომ AS-Accountant 7 უზრუნველყოფს ყველა საბუღალტრო მიმართულების ავტომატიზაციას. ამავე დროს დიდი რაოდენობით ზოგავს მუშახელს, დროს, ტექნოლოგიურ რესურსებს და ფულად აქტივებს.

სისტემა AS-Accountant 7-ის ძირითადი უპირატესობები

საუკეთესო ფასი/ხარისხი-ს თანაფარდობა

თქვენ იხდით ტიპიური მარტივი საბუღალტრო სისტემის ფასს პროგრამა AS-Accountant 7-ში, სამაგიეროდ თქვენ იღებთ თანამედროვე და მძლავრ საბუღალტრო სისტემას, ფართო ფუნქციურობით, მრავალმხრივი ანგარიშგების შესაძლებლობით და საუკეთესო მხარდაჭერის სისტემით.

თანამედროვე, მომხიბლველი, კომფორტული სამუშაო გარემო

- სისტემის სამუშაო გარემო აგებულია ნაცნობ და მოხერხებულ MS-Office-ის სტილში. ეს მომხმარებელს საშუალებას აძლევს ადვილად დაიწყონ სისტემის მოხმარება და თავი აარიდონ ახალ სამუშაო გარემოზე მიჩვევით გამოწვეულ დროის ხარჯვას და დისკომფორტს.
- სისტემა მუშაობს Unicode-ით, რაც შესაძლებელს ხდის ნებისმიერი ენით შეყვანილ მონაცემებთან მუშაობას.
- დოკუმენტის შექმნისას მიმდინარე მრავალი შემოწმება უზრუნველყოფს მონაცემთა მთლიანობას და სიზუსტეს.
- სისტემას აქვს სხვადასხვა ფერების და შრიფტების თემები. ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია სისტემის მისთვის მაქსიმალურად მოხერხებული ხედის შერჩევა.

ინსტალაციის და გამოყენების სიმარტივე

სისტემის ინსტალაცია და მასთან შემდგომი მუშაობა ძალიან მარტივია და არ მოითხოვს კომპანიაში ტექნიკური სპეციალისტის არსებობას ან ბუღალტერთა სიღრმისეულ გადამზადებას. სისტემის ტექნიკური მოთხოვნები არ არის მაღალი, ე. ი. კომპანიას არ ესაჭიროება დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის ან პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა.

სისტემის ყოველმხრივი მხარდაჭერა

კლიენტებთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაგროვილი გამოცდილება გვაძლევს საშუალებას კლიენტთა მომსახურების ეფექტური სისტემა შევიმუშაოთ და ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ თითოეული კლიენტი ღებულობს ამ მხარდაჭერით მაქსიმალურ კომფორტს.

- მონაწილეობა მიიღეთ ტექნიკურად აღჭურვილ AS სასაწავლო ცენტრში ორგანიზებულ ტრეინინგებში.
- დაუსვით თქვენი კითხვები AS სატელეფონო ცენტრის ლიცენზირებულ სპეციალისტს
- დისტანციური დახმარება: ინტერნეტის საშუალებით პირდაპირი კავშირი კლიენტების კომპიუტერთან.
- მონაწილეობა მიიღეთ ახალი ვერსიის შეახებ ჩვენს სემინარებში და პრეზენტაციებში.
- ეწვიეთ AS კლიენტთა მომსახურების პორტალის ცოდნის ბაზას ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხების მისაღებად. აგრეთვე შეგიძლიათ გამოიყენოთ სახელმძღვანელო და დამხმარე სტატიები.

ძლიერი და მოქნილი ანგარიშგების სისტემა

- თქვენ შეგიძლიათ სისტემიდან ნებისმიერი ინფორმაციის მიღება, მონაცემთა გაფილტვრის, დაჯგუფების, ჯამების დამატების, სვეტების ამორჩევის ინსტრუმენტების გამოყენებით.
- Excel-თან კავშირი: ახალი შემუშავების შედეგად, Excel-ში ემატება ფორმულები, რომლებიც გაძლევთ საშუალებას სისტემა AS-Accountant 7-დან გადმოქაჩოთ მონაცემები. Excel-ის საანგარიშო და ანალიზური საშუალებების გამოყენებით შეგიძლიათ ნებისმიერი უწყისის მიღება.
- მრავალი ჩაშენებული უწყისი, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი ფინანსური და საგადასახადო უწყისები.
- მართვის დაფა, რომელიც გამოსახავს თქვენი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს.

მუდმივად განახლებადი სისტემა

ჩვენ ყოველთვის ვაუმჯობესებთ და ფეხს ვუწყობთ ტექნოლოგიებს. AS-Accountant 7 სისტემის ვერსიების განახლება რეგულარულად ხდება. ახალ ვერსიებში არა მარტო შედის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები (ახალი უწყისების ვერსიები, გადასახადების გაანგარიშების ახალი სქემა და აშ.) არამედ ხდება სისტემის გაუმჯობესება; არის დამატებული ახალი შესაძლებლობები რათა გახადოს ბუღალტრების და ფინანსური განყოფილების სპეციალისტების საქმიანობა უფრო პროდუქტიული. ბოლო ვერსიის გადმოწერა და ინსტალაცია შესაძლებელია მხოლოდ ერთ ღილაკზე დაჭერით.

შეუზღუდავი რაოდენობით აღრიცხვების წარმოების საშუალება

AS-Accountant 7 სისტემაში შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობით ორგანიზაციების

აღრიცხვის წარმოება, იმის მიუხედავად თქვენ იყენებთ სისტემის ქსელურ თუ ერთ მომხმარებლიან ვერსიას.

საბუღალტრო და საბანკო ანგარიშების მართვა ერთი სისტემიდან

თქვენთვის მაქსიმალური კომფორტის და დროის დაზოგვის უზრუნველსაყოფად, სისტემა AS-Accountant 7 არის ინტეგრირებული ინტერნეტ ბანკინგის სისტემებთან. TBC ბანკის, საქართველოს ბანკის, პროკრედიტ ბანკის და ქართუ ბანკის ინტერნეტ ბანკინგის სისტემასთან ინტეგრაციით თავისუფლდებით ტრანზაქციების ხელით შევსებისგან და ზოგავთ დროს. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა სისტემა AS-Accountant 7-დან ბანკის ტრანზაქციები დააექსპორტოთ TBC ბანკის ინტერნეტ ბანკინგის სისტემაში და ასევე განახორციელოთ მონაცემების იმპორტი TBC ბანკის, საქართველოს ბანკის, პროკრედიტ ბანკის და ქართუ ბანკის ინტერნეტ ბანკიდან.

შემოსავლების სამსახურთან ინეგრაცია

- ანგარიშ-ფაქტურების და ზედნადებების ხელით შევსების საჭიროება აღარ არსებობს RS.GE-ზე. უბრალოდ ატვირთეთ ისინი სისტემა AS-Accountant 7-დან შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე.
- ანგარიშ-ფაქტურების და ზედნადებების ხელით შევსების საჭიროება აღარ არსებობს სისტემაში AS-Accountant 7, უბრალოდ ჩამოტვირთეთ ისინი შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდიდან სისტემა AS-Accountant 7-ში.

MS Word, MS Excel, Open Office პროგრამებთან კავშირი

სისტემიდან შეიძლება მონაცემების ექსპორტი MS Word, MS Excel, Open Office გარემოში.
მონაცემთა სწრაფი შეყვანის ახალი საშუალებები

მონაცემთა სწრაფი შეყვანის ახალი საშუალებები

სისტემაში დამატებული მონაცემთა ექსპორტირების და იმპორტირების ახალი ინსტრუმენტები გაძლევთ საშუალებას არსებითად დაზოგოთ დრო მონაცემების შეყვანაზე.

- MS Excel-დან მონაცემების და დოკუმენტების იმპორტი
- მთელი ინფორმაციის ექსპორტი და იმპორტი XML ფაილების მეშვეობით.

თანხის დაბრუნების გარანტია

თუ თქვენ არ ხართ კმაყოფილი სისტემა AS-Accountant 7-ის მუშაობით, შეგიძლიათ დააბრუნოთ იგი შეძენიდან ექვსი თვის განმავლობაში და დაიბრუნოთ მასში გადახდილი თანხა მთლიანად. ყოველგვარი კითხვების გარეშე!

მოკლე დახასიათება

მთავარი წიგნი

მთავარი წიგნი წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად ნაწილს, სადაც შედის ყველა ქვეგანყოფილების ბუღალტრული გატარებები. ამიტომ ბუღალტრულ სისტემებში მნიშვნელოვანია ამ განყოფილების სიმძლავრე, მოქნილობა და ინფორმაციული მახასიათებლები.
სისტემაში AS-Accountant 7 ჩაშენებულია ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა, თუმცა სისტემის მოქნილობა გაძლევთ მისი შეცვლის შესაძლებლობას, თქვენი ორგანიზაციისთვის მაქსიმალირად მორგების მიზნით. ასევე გეძლევათ შესაძლებლობა გამოიყენოთ სხვა ტიპის ანგარიშთა გეგმა (მაგ.საბიუჯეტო ორგანიზაციების, ბანკების).
მომხმარებელს ანგარიშთა გეგმაში შეუძლია შემდეგი ცვლილებების შეტანა

- ანგარიშების წაშლა და დამატება
- ანგარიშის ტიპის მონიშვნა: აქტიური, პასიური ან აქტიურ-პასიური
- ანგარიშის განყოფილების შერჩევა: საბალანსო ან ბალანსგარეშე
- ანგარიშისთვის ხელმისაწვდომი ვალუტების სიის მონიშვნა
- ანალიტიკური აღრიცხვის განსაზღვრა პარტნიორთა მიხედვით, ანალიტიკური ჯგუფი 1-ის დაანალიტიკური ჯგუფი 2-ის მიხედვით.

ანალიტიკური ჯგუფები ემსახურება სინთეტიკური ანგარიშებისთვის ანალიტიკური აღრიცხვის წარმოებას. ანალიტიკური ჯგუფების დახმარებით შესაძლებელია აღირიცხოს მაგალითად შემოსავლები და ხარჯები პროექტების ან ბიზნესის მიმართულების (სეგმენტის)მიხედვით.
სისტემაში ჩაშენებულია შემოწმებების და ავტომატური ჩაწერის მექანიზმები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებენ ბუღალტრის სამუშაოს და უზრუნველყოფენ მონაცემთა სიზუსტეს. სისტემაში AS-Accountant 7 გატარებების ხელით დამატების გარდა შესაძლებელია:

- ჩაწერილი დოკუმენტის საფუძველზე ავტომატურად მოხდეს გატარებების გენერირება.

- გვაძლევს საშუალებას აღვწეროთ კორესპონდენციების სცენარები და მას შემდეგ გამოვიყენეთ ისინი.
- გატარებების ჩაწერისას, ამოწმებს ანგარიშის ნაშთს, ბუღალტრული სიზუსტისთვის.
- ადარებს ჩასაწერ კორესპონდენციას ნებადართულ კორესპონდენიცებთან.

მძლავრი საუწყისო სისტემა გვაძლევს საშუალებას ბუღალტრული გატარებების საფუძველზე მივიღოთ არა მარტო, საჭირო ყველა ბუღალტრული და საგადასახადო ანგარიშგება, არამედ, სხვა მრავალი უწყისი, რომლებიც მოგვცემენ შესაძლებლობას უწყვეტად ვფლობდეთ ინფორმაციას ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაგვეხმარება მივიღოთ შედეგიანი გადაწყვეტილებები. ანგარიშგებებში გამოყენებულია მრავალი ფილტრი:- თარიღის, ვალუტის, პარტნიორის და სხვა. რომლებიც გვაძლევენ საშუალებას მივიღოთ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია.
მთავარი წიგნიდან შესაძლებელია შემდეგი ანგარიშგებების მიღება

- ანგარიშთა ნაშთები ნებისმიერი თარიღის მდგომარეობით ლარში და ვალუტაში
- ანგარიშთა ბრუნვა ნებისმიერი პერიოდისთვის ლარში და ვალუტაში

- T-ანგარიში ნებისმიერი პერიოდისთვის ლარში და ვალუტაში
- მართვის დაფა, რომელიც გამოსახავს თქვენი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს.
- საფინანსო უწყისები: საბუღალტრო ბალანსი, უწყისი საფინანსო შედეგებზე, უწყისი საკუთარ კაპიტალში ცვლილებებზე, უწყისი ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

ფულადი სახსრები

მთავარ წიგნთან ერთად განყოფილება ფულადი სახსრები ემსახურება ფულადი სახსრების ნაღდი და უნაღდო შემოსავლების და გასავლების ჩაწერას. განხორციელებული აღრიცხვა უზრუნველყოფს ფულადი სახსრების მუდმივ კონტროლს, და გვაძლევს საშუალებას ნებისმიერ დროს ვიყოთ სრულად ინფორმირებული ფულადი სახსრების ნაშთებზე.

ოპერაციები

- დებიტორებთან, კრედიტორებთან და ანგარიშვალდებულ პირებთან ურთიერთანგარისწორებას ნაღდი და უნაღდო ფულადი სახსრებით.
- ნაღდი ფულადი სახსრების შეტანა სალაროში ან ანგარიშსწორების ანგარიშზე,
- ნაღდი სახსრების გატანა სალაროდან ან ანგარიშსწორების ანგარიშიდან,
- კონვერტაცია
- სავალუტო სალაროსა და ანგარიშსწორების ანგარიშების ნაშთების გადაფასება
- საგადახდო დავალებების TBC Bank-ის ინტერნეტ-ბანკის სისტემაში ექსპორტი,
- ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩატარებული ტრანზაქციების იმპორტი TBC ბანკის, საქართველოს ბანკის, პროკრედიტ ბანკის და ქართუ ბანკის ინტერნეტ-ბანკის სისტემიდან და მათ საფუძველზე საბუღალტრო გატარებების ავტომატური ჩაწერა,

დოკუმენტები

- საგადახდო დავალება,
- სალაროს შემოსავლის ორდერი,
- სალაროს გასავლის ორდერი,

უწყისები

- ნაღდი და უნდაღდო ფულადი სახსრების ნაშთები და ბრუნვა ლარში და ვალუტაში
- ფულადი სახსრების ბრუნვის ოპერაციების ჟურნალი ლარში და ვალუტაში.
- ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხების ხარჯვის შესახებ ანგარიშგება.
- არა ერთი გრაფიკი და დიაგრამა რომელიც შესაძლებლობას გაძლევთ გამოსახოთ თქვენი კომპანიის ფულადი/არა ფულადი ბალანსები გრაფიკულ ფორმატში.

დებიტორები და კრედიტორები

მთავარ წიგნთან ერთად ეს განყოფილება ემსახურება მომწოდებლებთან, მყიდველებთან, ანგარიშვალდებულ პირებთან და სხვა დებიტორ/კრედიტორებთან ურთიერთანგარისწორების კონტროლს.
ეს განყოფილება ამაღლებს ბუღალტერთა შრომის ნაყოფიერებას გაყიდვების ან გადახდების დოკუმენტების გამოწერის დროის შემცირებით. მათ შესაძლებლობა აქვთ

თვალი ადევნონ და დროულად გამოავლინოს გადაუხდელი დებიტორული დავალიენებები. რაც გამოიწვევს ვადაგასული დავალინებების რიცხვის შემცირებას და ფულადი შემოსავლების ნაკადის გაუმჯობესებას. ეს გვეხმარება ასევე კეთილსინდისიერი მყიდველების გამოვლენაში და წახალისებაში.
ოპერაციები

- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების, ნაწარმის, მომსახურებების და ძირითადი საშუალებების გაყიდვით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ასახვა და მათი გადახურვა.
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების, ძირითადი საშუალებების და მიღებული მომსახურებების შეძენით წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების ასახვა და მათი გადახურვა.
- დავალიანებების გადახურვა მიღებული ან გადახდილი ავანსის ანგარიშზე.
- გაცემული საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების მხრივ დებიტორული დავალიანების და ანგარიშვალდებული პირთა მიერ დახარჯული თანხების ასახვა.
- სავალუტო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების კონვერტაცია და გადაფასება.
- დებიტორებს და კრედიტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შემოწმება

უწყისები

- პარტნიორთა ნაშთების და ბრუნვის უწყისი ლარში და ვალუტაში,
- პარტნიორის T-ანგარიში ლარში და ვალუტაში,
- ოპერაციების ჟურნალი ლარში და ვალუტაში,
- არა ერთი გრაფიკი და დიაგრამა, რომლებიც შესაძლებლობას გაძვევთ, გამოსახოთ თქვენი კომპანიის დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები გრაფიკულ ფორმატში.

საწყობი და ვაჭრობა

სასაწყობო და სავაჭრო პროცედურების აღრიცხვის სრულყოფის უზრუნველყოფისთვის და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არსებობის შესახებ ინფორმაციის მუდმივად ფლობისთვის, სისტემაში მათი რაოდენობა-თანხობრივი აღრიცხვის წარმოება მიმდინარეობს სხვა და სხვა საწყობების, შეძენის ფასების და მიღების თარიღების მიხედვით.
თვითღირებულების დასადგენად გამოიყენება მეთოდები „პირველი შემოსული, პირველი გადის“ ფიფო, „ბოლო შემოსული, პირველი გადის“ ლიფო და საშუალო შეწონილი. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის ავტომატიზირებით თქვენ შეძლებთ საწყობის ბრუნვის და სავაჭრო პროცესის კონტროლს, რაც საშუალებას გაძლევთ სწრაფად გაარკვიოთ რომელ პროდუქციაზე და ნაწარმზე არის მოთხოვნა და თქვენი მოგება მიიყვანოთ მაქსიმუმადე.
გაყიდვების გაანალიზებით თქვენ შეძლებთ უფრო დაზუსტებით დაგეგმოთ შესყიდვები, რომელიც არ დაუშვებს მოთხოვნაზე მეტი ნაშთების ქონას საწყობში და პროდუქციის თვითღირებულებაზე დაბალი ფასით გაყიდვას.
შტრიხ-კოდთან მუშაობის შესაძლებლობით შეძლებთ სკანირების საშუალებით სწრაფად და ზუსტად აირჩიოთ გასაყიდი პროდუქცია, იმის ნაცვლად, რომ შეიყვანოთ ინფორმაცია

კლავიატურიდან.

ოპერაციები

- მომწოდებლისგან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა.
- შეძენასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების ასახვა (სატრანსპორტო, დატვირთვის და ჩამოტვირთვის ხარჯები და სხვა)
- საქართველოში საქონლის იმპორტის დროს საბაჟო დეკლარაციის შევსება.
- საქონლის და ნაწარმის დაბრუნება მომწოდებლისთვის
- ორგანიზაციაში წარმოებული პროდუქციის შეყვანა.
- პროდუქციის და ნაწარმის გაყიდვა.
- მყიდველისთვის საქონლის (მომსახურების) ინვოისის გაგზავნა.
- საქონლის და ნაწარმის დაბრუნება კლიენტისგან
- წარმოების მიზნით სმფ-ს გამოწერა.
- მოთხოვნებს შორის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გადაადგილების ასახვა.
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია,
- ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ნამეტების და დანაკლისების ასახვა.
- კომლექტის შეყვანა საწყობში და საჭირო რაოდენობით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების (კოპმლექტის შემადგენელი ნაწილების) გამოწერა.
- საქონლის დეკომპლექტაცია: საწყობიდან კომპლექტის გაწერა და შესაბამისი რაოდენობის ნედლეულის (კომპლექტის ინგერედიენტის) შეყვანა.

დოკუმენტები

- საწყობის შემოსავლის ორდერი,
- დამატებითი ხარჯების განაწილება
- საბაჟო (იმპორტი)
- მომწოდებლისთვის დაბრუნება
- ინვოისი
- გაყიდვა
- გაყიდვები საცალო
- საწყობის გასავლის ორდერი
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გადაადგილების ზედნადები
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგების სია და შედარებითი ცნობა
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების კომპლექტაცია
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების დეკომპლექტაცია

უწყისები

- რაოდენობრივი და თანხობრივი ნაშთები და ბრუნვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობების, საწყობების, ანგარიშების, ფასების და ჯგუფების მიხედვით.
- რაოდენობრივი და თანხობრივი ნაშთებიი პრეისკურანტში გამოცხადებული გაყიდვის ფასებით.
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობის გადაადგილება T-ანგარიშის სახით,

- ოპერაციების ჟურნალი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების, საწყობების,

ანგარიშების, ფასების, ჯგუფების, მომწოდებლების და დოკუმენტების სახეობების მიხედვით.

- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რეალიზაციის ჟურნალი.
- არა ერთი გრაფიკი და დიაგრამა, რომლებიც შესაძლებლობას გაძლევთ, გამოსახოთ თქვენი კომპანიის გაყიდვები და ყველაზე გაყიდვადი ერთეულები გრაფიკულ ფორმატში.

მალცვეთადი საგნების აღრიცხვა

მალცვეთადი საგნების აღრიცხვის თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელებულია ექსპლუატაციაში მყოფი და ხარჯად ცნობილი მალცვეთადი საგნების აღრიცხვა.
იმისთვის რომ ვფლობდეთ საჭირო ინფორმაციას სისტემაში მალცვეთადი საგნების რაოდენობა-თანხობრივი აღრიცხვა წარმოებს სხვადასხვა ქვედანაყოფების, მატერიალურად პასუხისმგებელის პირების, შეძენის ფასების და მიღების თარიღების მიხედვით.
მალცვეთადი საგნების აღრიცხვის ავტომატიზირებით თქვენ შეძლებთ თვალი ადევნოთ მათ შენარჩუნებას და გაუთვალისწინებელი ხარჯების მატებას.

ოპერაციები

- მალცვეთადი საგნის შეძენა მომწოდებლისგან და ექსპლუატაციაში გადაცემა,
- წარმოების, ადმინისტრაციული და სხვა დანიშნულებით მალცვეთადი საგნების გამოწერა და ექსპლუატაციაში გადაცემა.
- ექსპლუატირებადი მალცვეთადი საგნების შიდა გადაადგილება ადგილსამყოფელსა და მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს შორის.
- ექსპლუატირებადი მალცვეთადი საგნების ლიკვიდაცია.

უწყისები

- რაოდენობრივი და თანხობრივი ნაშთების და ბრუნვის ცნობები მალცვეთადი საგნების, ადგილსამყოფელის, მატერიალურად პასუხისმგებელი პირის, ფასების და ჯგუფების მიხედვით.
- სასაქონლო მატერიალური ფასეულობის გადაადგილება T-ანგარიშის სახით.
- ოპერაციების ჟურნალი მალცვეთადი საგნების, ადგილსამყოფელის, მატ.პასუხისმგებელი პირების, ჯგუფების, ოპერაციების ტიპების მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სისტემა AS-Accountant 7-ის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ზუსტად და სწრაფად შეასრულოთ მათი აღრიცხვა და კონტროლი. სისტემაში წარმოებს ძირითადი საშუალებების ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვა, გამოიყენება ძირითადი ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებები იყოფა შემდეგ ჯგუფებად ექსპლუატაციაში არ გადაცემული ძირითადი საშუალები,

ექსპლუატირებადი ძირითადი საშუალებები, ექსპლუატაციიდან ამოღებული ძირითადი საშუალებები, ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები.

ოპერაციები

- ძირითადი საშუალებების მომწოდებლისგან შეძენა
- შეძენილი ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში გადაცემა
- ექსპლუატირებადი ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა
- სტრუქტურული ქვედანაყოფებს შორის შიდა გადაადგილება, მატ.პასუხისმგებელი პირის შეცვლა.
- ძირითადი საშუალებების რეკონსტრუქცია
- ძირითადი საშუალებების გადაფასება
- ძირითადი საშუალებების ნაწილობრივი ლიკვიდაცია
- ექსპლუატირებადი ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციიდან დროებითი ამოღება
- ექსპლუატაციიდან ამოღებული ძირითადი საშუალებების განმეორებითი ექსპლუატაცია
- ძირითადი საშუალებების გამოწერა
- ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია, ინვენტარიზაციის შედეგების შედარებითი ცნობის ფორმირება.

უწყისები

- ბრუნვის და ნაშთების ცნობა ძირითადი საშუალებების ტიპების, განყოფილებების, პასუხისმგებელი პირების მიხედვით.
- ძირითადი საშუალების ცვეთის ცნობა ძირითადი საშუალებების ტიპების, განყოფილებების, პასუხისმგებელი პირების მიხედვით.
- ოპერაციების ჟურნალი ძირითადი საშუალებების ტიპების, განყოფილებების, პასუხისმგებელის პირების, ოპერაციების ტიპების მიხედვით.

ხელფასი

სისტემაში გათვალისწინებულია თანამშრომლის პირადი მონაცემების (დაბადების თარიღი, სქესი, პასპორტის ნომერი და სხვა), სამუშაო კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების (ქვეგანყოფილება, თანამდებობა, ხელფასის განაკვეთი და სხვა) ჩაწერა, ხელფასების გამოთვლის და მათი გადახდების შესრულება. გათვალისწინებულია სამუშაო და სამოქალაქო ხელშეკრულებების აღრიცხვის კანონმდებლობითი თავისებურებები.

გაქვთ შესაძლებლობა

- აღწეროთ ორგანიზაციაში მოქმედი დარიცხვები და დაქვითვები (ხელზე ფულიდან უკან გამოქვითვა, ხელზე ფულის გამოთვლა კოეფიციენტით, საშემოსავლო გადასახადის, პროფკავშირის საწევროს დაკავება და სხვა) ,
- პარამეტრების კანონმდებლობისადმი შესაბამება (შემოსავლის გადასახადის

პროცენტები, მინიმალური გადასახადი და სხვა),
- სამუშაო საათების ცნობების (ტაბელების) დადასტურება (8 საათიანი, 5 დღიანი,საათობრივი ანაზღაურება და სხვა)

ოპერაციები

- ხელფასის გამოთვლა,
- სარგებლების გამოთვლა (ავადმყოფობის სარგებელი, საპენსიონატო მკურნალობის სარგებელი, ორსულობის და მშობიარობის სარგებელი, ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის სარგებელი და დაკრძალვის სარგებელი),
- თვის განმავლობაში ერთზე მეტი გადახდების წარმოება.

უწყისები

- გადახდების სია
- საანგარიშო ფურცლები
- საანგარიშო-საგადახდო შემაჯამებელი მონაცემები
- საანგარიშო-საგადახდო მონაცემები თანამშრომლების, ქვეგანყოფილებების, დარიცხვების/დაქვითვების მიხედვით
- ორგანიზაციის მიერ ფიზიკურ პირებზე გადახდილი და დაქვითული თანხების გამოთვლა
- ყოველთვიური სამუშაო პერიოდის ტაბელი.

HR მენეჯმენტი

სისტემა AS-Accountant 7 საშუალებას იძლება გადაიჭრას ადამიანური რესურსების მართვის პროცესის რამდენიმე საკითხი. ეს ეხმარება ორგანიზაციას ქონდეს HR მენეჯმენტი არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, რომელიც მოიცავს:

- თანამშრომლების პერსონალური მონაცემების აღრიცხვა
- თანამდებობაზე მიღების, გადაყვანის, სამსახურიდან გაშვების ბრძანებების დარეგისტრირება
- თანამშრომლის ბარათის ფორმირება.

ტექნიკური მოთხოვნები

AS- Accountant 7 სისტემის მუშაობისთვის საჭიროა, რომ კომპიუტერმა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

პროცესორი - 2.0 GHz dual core (რეკომენდებულია 2.4 GHz ან უფრო სწრაფი)
მეხსიერება – 2GB ან უფრო მეტი
ოპერაციული სისტემა

Windows 7 SP1 (x86 და x64)
Windows 8 (x86 და x64)
Windows 8.1 (x86 და x64)
Windows 10 (x86 და x64)
Windows Server 2008 SP2 (x86 და x64)
Windows Server 2008 R2 SP1
Windows Server 2012
Windows Server 2012 R2
Windows Server 2016

მყარი დისკი - სერვერის კომპიუტერის შემთხვევაში 2.5 GB თავისუფალი დისკის მოცულობა (კლიენტი კომპიუტერის შემთხვევაში 300 MB)

მონიტორი - მინიმალური რეზოლუცია 1024x768 (რეკომენდებულია 1280x720ან მეტი)
პროგრამული უზრუნველყოფა

Microsoft®.NET Framework 3.5 SP1
Microsoft®.NET Framework 4.6.2
VBA Component of Office

მოთხოვნები ინტეგერაციისთვის

დახმარების სახელმძღვანელო - Internet Explorer, Google Chrome, Mozilla Firefox, Opera ბოლო განახლებებით.

ექსპორტისთვის საჭიროა - Microsoft Excel, Word 2010 ან უფრო ახალი, და გარკვეული შეზღუდვებით OOO Writer და OOO Calc systems, განსაკუთრებით Open Office 3.4 ან უფრო ახალი.